



პატარა მკითხველებს

კუნძულა.

I

წელიწადი ოცდამეცხე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

კ უ ნ წ უ ლ ა ს ი


I.

I—ჩასძახეთ მაგრაათ: თავისუფლება...ა...ო!—სურათი	2
II—ყმაწვილების მიმართ.—ანასტასიასი	3
III—თავისუფლება.—ლექსი—ი. გრიშაშვილისა	6
IV—რად შრიალებს ვერხვის ფოთლები—ლევენდა (თარგ)—ირ. ფერაძისა	8
V—მშიერი გაიკითხეთ!—ამბავი ანასტასია წერეთლისა	12
VI—მითხარ გოგონავ!—ლექსი—ხ. ვარდოშვილისა	18
VII—თიკანი პიპინა მოთხრობა.—კოჟენდარისა	20
VIII—გაზაფხული.—ლექსი შიო მღვიმელისა	30
IX—სახუმარო	31

ჯეჯილის ხელის მოგზაურების საქურადღებოთ.

ნუტანელი სიძვირის და ასოთამწუობების უშოვნელობის გამო, რედაქციბ ჰირ ნათლათ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და გარდა ორი წიგნისა, იანვრის და თებერვლის ნომრებისა, ხელის მომწერლებს აწოდებს მხოლოთ ამ ორ წიგნს კ უ ნ წ უ ლ ა ს .

11 558



პატარა მკითხველებს
კუნძულა.

I




წელიწადი ოცდამეცხე.

თფილისი.
სტამბა რკინის გზისა, ანდრეევის ქუჩა, შენობა № 50.
1917



ჩასძახეთ მაგრათ: თავისუფლებაა — ა — ო!



უმაჯილავის მიმართ



ემო ჰატარებო! ათი თვეა რაც არ მომიწოდებია თქვენთვის ჯუჯილი. ამათ თვეში ისე გამოიცვალა ჩვენი ცხოვრება, ისე ბევრ სისარულს და ბევრ შიშს ვგრძნობდით, რომ ადრინდელივით ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ახლა ეველგან გაისმის „გაუძარჯოს თავისუფლებას, გაუძარჯოს ახალ რუსეთს და მასთან ერთად თავისუფალ საქართველოს. ამას რასაკვირველია მოსდევს დიდი სისარული. მერე იცით რისთვის?

აბა გეჭვით!

ეველა ხალხს, ძველ დროიდანვე, თავის ქვეყანაში უფროსები, მართველები ჰქვავთ. ისინი სჭრიან სამართალს, უვლიან ქვეყანას, რომ ეველამ ბედნიერათ იცხოვროს. ეველა ქვეყანას ჰყოლია და ჰქვავს ეს უფროსები, ეს მართველები.

ძველ დროში იმპერატორები იუვენ სრული ბატონ-ჰატრონები ქვეყნისა, მერე როდესაც ხალხი განათლდა

სელმწიფეებს ცოტ-ცოტათ გამოეცალათ უფლებები. ხალხი თვითონ გაეჩინა თავის საქმეებში.

ახლანდელ დროში თითქმის ეველა ქვეყანას, თუძცა მეფეებიც ჰყავთ, თვითონ ხალხი უძღვება თავის საქმეებს, ირჩევენ თავიანთ კაცებს და იმათი შემწეობით ძთელ ხალხს უვლიან. რუსეთში ჯერ სრული ჰატრონი იყო სელმწიფე, მერე ხალხმა ამორჩეული კაცები მიუყენა, მაგრამ მეფე არ უძობდა უფლებებს. მასთან ერთად არ მუშაობდა ქვეყნის საბედნიეროთ. ბოლოს უნდოდა კიდევ ეს ამორჩეული რუსეთის განვითარებული საუკეთესო კაცები თავიდან მოეშორებინა. ომი გაგრძელდა, ხალხი იხოცებოდა, ჰურს ვერ მოულობდენ, შიმშილობა მოგველოდა. ამას კი ვერ აიტანდა ხალხი; ერთის სიტუვით, ქვეყნის უბედურებას ბოლო არ უჩანდა. თვითონ სელმწიფის ამორჩეულმა კაცებმაც საქმე კარგათ ვერ წაიყვანეს. ჯარი უკმაყოფილო იყო და სელმწიფე ტანტიდან ჩამოაგდეს.

ახლა ხალხმა კარგათ თუ ავად უნდა თვითონ განაგოს თავისი საქმეები. მუშამ, მრეწველმა, გლეხმა და თავადმა ხელი ხელს უნდა მისცენ, რომ სამართალი მიუნიჭოს ეველას ერთნაირათ.


როდესაც გაიზრდებით, ეძაწვილებო, სიამოვნებით მოიგონებთ ამ ბედნიერ დროს და მაშინ მისვდებით, თუ

რბ დიდი განსხვავებაა, როდესაც ქვეყნის საქმეებს ჭკუით მართავს ხალხისაგან არჩეული კაცები და არა ერთი კაცი თავნება და უსამართლო ბატონი—მეფე.

ანანტასია.



ერთობის მედროზე



თავისუფლება

(ვუძღვნი დოდო და ირა ალექსიძეებს)

რამ უთხრა თავის ძმასა:
„ძმაო, მითხარ, ამისსენი—
რატომ არის ეს ქუჩები
წითელ ფერით დანამუყენი?

ან ეს ხალხი რათ ჩოჩქოლობს,
რათ აქვთ ძღერა.. სჯა.. ნავარდი..

ან ლხენისგან ეველას ჰირსედ
რათ გაშლილა ღიმის ვარდი?“
ძმამ მიუგო: „მიტომ ვეტრფით
ამ წითელ ფერს, ამ სპეკაულს,
რომ ამ ფერით ხალხი ისდის
გამარჯვების დღესასწაულს;
დღეის შემდგომ, არ იქნება
ჩაგვრა! ტანჯვა! დამონება!
რომ ისუნთქონ თავისუფლად
ეველასა აქვს ამის ნება!“

—
როცა დე-ძმამ მოათავეს
გარტობა თუ სეირნობა,—

ირას გულში რაღაც ჩაჩნა,
 აუჩუებდა ნორჩი გრძნობა.
 და სთქვა: კარგი! თუ სუეველანს.
 დღეს ეღირსათ ღსენა, შვეება,
 თუ დროშების შრიალის დროს—
 ისმის: „ვაშა!“ „გამარჯვება“!
 თუ კი ეველამ იხსნა თავი
 და ანც ტევებ, ანც ეული—
 მამ ეს შაშვი გალიაში
 დღეს რათ არის დამწუვდებული?
 სთქვა და კარბი გალიისა
 გამობაღო ცეკვით! ღსენით!
 შაშვი შეფრთსა და ღრუბლიდან
 მადღს სწირავდა ირას სტვენით!

ი. გრიშაშვილი.

1917 წ. მაისი.



რად ურიალავს ვერხვის ფოთლები?

(ლ ე ბ ე ნ დ ა)



აშინელს დღეს განიცდიდა ქვეყანა...

იერუსალიმის ახლო, კოლგოთის მთაზე სამი ჯვარი მოსჩანდა. ერთ მათგანზე ჯვარცმულ იყო იესო ქრისტე...

ღრმა მწუნარება გამოისატებოდა მის საოცარ შუბლზე, ეოვლად მოწყალე და კაცთ-მოყვარე მაცხოვარი თავის მტერთათვის ლოცულობდა და ეოვლის-შეძმლებელ მამას ეკედრებოდა ეზატებისა შეცოდებანი მათნი...

— მამაო, მიუტევე მათ, რათა არ იციან რასა იქმნენ, ლოცულობდა იესო...

მაცხოვრის ჯვართან იდგა ქალწული მარინამ სხვა მართლმორწმუნე ქალებთან ერთად. იგიც ინაგრებოდა ქრისტეს ჩაგვრით, მასთან ერთად განიცდიდა მის სუ-

ლიერ და სორციელ ტანჯვას, ეველს შეურაცყოფას, რომელიც მას მიაყენა უგუნურმა ბრბომ.

ღიადი და საშინელი ქამი ახლოვდებოდა... მზე დაბნელდა და შავმა წვედიადმა მოიცვა დედამიწა... თითქოს ბუნებამაც იგრძნოო თვისი გაძჩენის ტანჯვა... ფრინველთა ტკბილი გალობა შესწუვიტეს. სეებმაც მოჩილიებით და მწუსარებით ტოტები ძირს ჩამოუშვეს და ხავერდოვან ველზე ათასფრად აჭრელებულმა ევაგილებმა ძარვალბრის ცრემლები დაღვარეს. მთელი ბუნება მოწიწებით დაწენარდა, თითქოს იგრძნოო ღიადობა მაცხოვარის მოახლოებული სიკვდილისა.

მხოლოდ ერთს ვერსვს ამაყათ, შეურევევლათ აეძვიონ ცისაკენ თავი და თითქოს ვერ სტკებებოდა თვისი სილამაზით, თვისი ტანის სიწერწეტით, თვისი ვერცხლისებური ფოთლებით. მას თითქოს არ აწუსებდა ქრისტეს ტანჯვა, იგი სრულიადაც არ დარდობდა ამას. სწეინდა მხოლოდ, რომ ღიადი, მოალერსე მზე, რომელიც მას საშინლათ უეგარდა, ბნელ წვედიადში გაეხვია...

— ოჰ, ნეტავი ძალე გაივლიდეს ეს თავის მოძაბესრებელი დრო, ჭფიქრობდა ვერსვი,—ნეტავი ძალე განათებდეს ტურფა, ლამაზი, ნარნარი მზე დედამიწას, ნეტავი ძალე დაიწეებდენ ფრინველნი ჭიკჭიკს ჩემს მძვენიერს, ამწვანებულს ტოტებზე... ოჰ! რა რიგათ მსურს, რომ ძალე მოკვდეს ეს კაცი!..

მაგრამ სწორედ ამ დროს მომაკვდავმა ქრისტემ უკანასკნელათ მიმოიხედა გარეშემო და თვისი თვალები, მწუსარებით და დაუსრულებელი ტანჯვით აღსავსე თვალები, ვერხვს ძიანჯრო...

. . . და შეირუა ვერხვი მთელი თავისი არსებით...

. . . და აშრიანლდა...

* *
* *

სამი დღე გავიდა. ქვეყანა ჭხარობდა. ადამიანის გულში ესლა სისარული და სიამოვნება იყო გაძეფებული.

— ქრისტე აღსდგა!— ჭეშმარიტათ!.. ულოცავდენ ერთი ერთმანეთს.

ბუნებამაც გამოიღვიძა. დიადს მზეს შავი წვედიადი გაერღვია და სისარულით ჭკზანდა თავის სსიევებს დედა-მიწისაკენ...

კვლავ გაისმა ურინველთ ჭიკჭიკი...

უვაგილები გაიფურჩუნენ და მზის სსიევებისაკენ აბ-ჭეფრიანლებული სისარულის ცრემლები დაჭლვარეს კვლავ ამწვანებულს ხავერდოვან მდელოზე...

მსოლოდ ერთი ვერხვი იდგა დამწუსრებული... შიშს მოეცვა მისი არსება... მას არ დავიწეებოდ და ქრისტეს სეგდით სავსე თვალები და არც შეეძლო იმ შესედვის დავიწეება...

ბევრმა საუკუნემ განვლო მას შემდგომ, მაგრამ ეს-
ლაც, წენარი ამინდის დროსაც-კი, როცა მთელი ბუნება
მიუჩქებულა და თითქოს სძინავს, ვერსვის ფოთლები
მანც შრიალებენ.

ირაკლი ფერაძე.

(თარგმანი)



მუიერი გაიკითხათ!



გედილო, რათ მალვიძებ ასე ადრე? ისე ტები-
ლათ მძინავს სოლმე! სად მიდისარ ასე უთე-
ნის! წამოიძახს უკმაყოფილოთ ბაბუცამ. მერე
გადბრუნდა მეორე გვერდზე და სწრაფლად ჩაიძინა.

ჯერ სულ ბნელოდა. მარიაძმა სძა არ გასცა შვილს.
სახქაროთ გადბიცვა ტანისამოსი, თავზე წამოიგდო შა-
ლი, ფეს აკრეფით მიუახლოვდა ბაბუცას. ალერსით, ტბი-
ლათ ჩაჭკოცნა. ნამძინარძა შვილმაც სიყვარულით შესედა
დედას.

მარიაძი ნელა-ნელა გავიდა ოთახიდან და კარი უხმოთ
გაიხურა. განვლო რამდენიმე საათმა. ქუჩაში ხალხი ას-
მაურდა. მარიაძი სიცვიით გალურჯებული, კანკალით,
დაბრუნდა სახლში. ჩაიდანა ცეცხლზე დასდგა, ოთახი
მიანლაგამოაღება. მაგიდაზე მოამზადა ორი ადამიანისა-
თვის ჩაის ჭურჭელი, გადმოიღო სათუთოთ შენახული შა-
ქარი, ჩააღბო გამძმარი უველის ნაჭერი ცხელ წებლში,
ბოლოს მოიტანა კალათით შავი ზური, რომელიც ჯერ
ისევე ცხელი იყო და მისძახს ბაბუცას:

— შვილო წამოდექი, არ დაგიგვიანდეს სკოლაში.

ბაბუცა თვალების ფშენეტით წამოდგა, სწრაფლათ ზირსე წვალი შეისსა და მივარდა მაგიდას. შავი, უგუ-
მური, მიწიანი ზური, რომ დაინახა ტუჩები აიბრცა,
თითქოს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა. ერთ
წამს ჩაი დალია და სკოლაში გაიქცა.

ბაბუცა ამ დღეს სასწავლებელში მივიდა მოღუმუ-
ლი, ნადვლიანი. რაღაც აწუსებდა, თითონაც არ იცოდა
რა. მთელი გზა ადელვებული იყო. გუშინ, გუშინ წინ
ნინუცამ, ანეტამ და სხვა ამხანაგებმა თქვეს, რომ გაკვე-
თილებს ვერ ვასწრობთო. ზურისთვის სულ დამე გავ-
დივართ, რიგში დგომა კვიტირდებაო.

—დედაც სომ ზურსე არ მიდის ისე ადრიანათ? იქნება
უჭირს და მე კი ვერას ვშველი. ამას წინეთაც ავით ვახ-
და. მასსოვს მეზობელმაც უსაუკედურა: „უოკელთვის კი
ვერ გიყიდი ზურსაო.“

ბაბუცამ გულში გადასწვეიტა—სვალ სასწავლებელში
არ წავალ და დედის მაგივრათ ზურის სასყიდლათ რიგ-
ში ჩავდგებიო.

ბაბუცას არ უნდოდა დედისთვის ადრევე ეთქვა თა-
ვის გადაწვევტილება და კმაყოფილი თავის თავისა,
კვლავანდელზე ადრე დაწვა დასამინებლათ. მიღს მი-
ლი მოსდევსო, ამბობენ და ბაბუცამ მაშინ გამოიღვი-
ძა, როდესაც დედას ზურიც მოეტანა, სახლიც დაელაგე-
ბინა და ჩაიც დაემსადებინა. ემაწვილმა თავის თავს უსა-

ვეედურბ: არც დედას გამოვადექი და სწავლასაც მოვაკლდიო.

დედამ ახლავს ჩაი თუ არა, მისძახს ბაბუცას: შვილო, ახლა სორცისთვის უნდა წავიდე, შინ მოსვლა უსათუოდ დამიგვიანდება და თუ სადმე წახვალ, კარბი ღიბა არ დასტოვო, გასაღები მეზობლიანთ მაკას მიანბარე. რაც ჩვენი ეურშა მოვიცილეთ სახლს გაფრთხილება უნდა, ქურდებმა არ აგვიკლონ.

ბაბუცას მოაკონდა თავისი ერთგული და საუვარული ეურშა, რომლის გამოკვება ამათ ვეღარ შესძლეს და ძარბაში იძულებული გახდა ავლანბარში ნაცნობებისათვის მიეცა. ბაბუცა ძალიან სწუსდა მის მოძორებას. აქამდის თვალ წინ უდგა რა მწუსარებით შესცქეროდა ეურშა მას გამოთხოვების დროს.

დედა წავიდა ბახარში. ბაბუცამ ხელში აიღო საკითხავათ წიგნი, მაგრამ თავში არა შესდიოდა რა.

— საწყალი დედა! ხან ჰური, ხან სორცი, მერე საჭმელის გაკეთება, — მე კი ვერასა ვშეველი.

ღრო გადიოდა, დედა არ ბრუნდებოდა. ბაბუცამ ვეღარ მოითმინა, სახლიდან გავარდა დედის მოსანახათ. მივიდა დუქანთან თუ არა, სადაც სორცს ჰყიდდენ, ღაი-

ნახს დედა კედელზე მიურდომილი: სახე ასტკეცოდა, აწითლებული იყო, თვალები უბრწყინავდა. ბაბუცამ შესედა თუ არა შეატეო რომ დედას სიცხე აქვს. მაშინვე მივარდა დედას, სიევარულით მოეხვია და სახლში წამოიყვანა.

მარიაში ლოგინათ ჩავარდა. ბევრმა ფესზე დგომამ და დიდმა ჯაფამ მუსლები მოჰკვეთა და მთელი ოჯახის საქმე თერთმეტი წლის ბაბუცას კისერზე დააწვა. მართალია ფული ეოველ თვეობით ეძლეოდათ იჯარით გაცემული დუქნიდან, რომელიც მარიაძს დაჩენოდა ომში მოკლული ქმრისაგან. მაგრამ ფული არც იმდენი შემოდოდა, რომ დღევანდელ გაჭირვებულ დროში, უსომო სიძვირეში, ჰყოფნოდათ.

სანამ დედა მოკეოდებოდა ბაბუცამ დაიწყო რიგში დგომა: ხან ჰურზე გაჰყვებოდა მესობლებს და ხან ხორცის საყიდლათ მიდიოდა.

ბაბუცა სშირათ იგონებდა თავის ეურშას. ახლა რომ ჰყოლოდა როგორი მეგობრობას გაუწევდა; მაშინ არც მოსწეინდებოდა დიდი ხნით ფურნეში და დუქანთან დგომა.

ამათ ეზოში ჰყავდათ ერთი დიდი, ბაბუცას ოდენი ძაღლი ვახიბეგი, რომელიც ცდილობდა ბაბუცასათვის

ეუწმას მკვირობა გაეწია, შეეყვარებინა თავი. დაინახავა და თუ არა ესოში გოგონას მოკრძალებით აედევნებოდა, ელბქუცებოდა, ისე რომ ბაბუცას ეუწადლებაც დაიმსახურა.

მარიამი ცოტ-ცოტა მოჯობინდა, მაგრამ ბაბუცა არ უშვებდა ფურნეში და ღუქანში. სულ თვითონ დადიოდა. სწორეთ ამ დროს სკოლაშიაც ცოტა სწობით სწავლა შეჩერებული იყო.

ერთხელ ბაბუცა მსიარულათ გავიდა სახლიდან სორცის საუიღლათ, ეაზიბეკმა დაინახა თუ არა გოგონა აედევნა. ბაბუცა გზა და გზა ეთამაშებოდა, ეაზერსებოდა. ემაწვილს კარგა ხანი მოუნდა ღუქნის წინ დგომა. ეაზიბეგი კარშემორტყემული სხვა ძაღლებით მოშორებით იდგენ და დიდი მოთმინებით შესცეროდენ ხალსს და მეტადრე ბაბუცას. ბოლოს მოვიდა ამის რიგიც, მეღუქნემ გაუწვიდინა ბაბუცას სორცი და ის იყო ემაწვილი უნდა გამობრუნებულიყო რომ უკანიდან მივარდა ეაზიბეგი, შესდგა ორ ფეხსე და ისე მძლავრათ დაარტუა თავისი ტოტები მხარსე, რომ სორცი მიწასე დაუვარდა და სანამ ბაბუცა გონსე მოვიდოდა ეაზიბეგის მეთაურობით ძაღლებმა ისე დაიტაცეს სორცი, რომ ნატამალი არა დარჩა-რა.

ამ მოულოდნელმა ამბავმა, რომ ახალმა მეგობარმა არ გაიტანა, ბაბუცა წამოაყვირა:—სამაგელი, ბრიყვი ეაზი-

ბეგი და ტირილით მივიდა სასლში. დედამ გაჯახვრების
 მაგივრათ ანუგეშა:—ნუ ტირი, შვილო, მშვიდი უნდა გაი-
 კითხო. ძნელია სიმშვილი როგორც ადამიანისათვის, ისე
 ჰირუტევეებისთვის.

ანასტასია წერეთლისა.



მიტხარ გოგონავ!..



ითხარ, რად სტირი, გოგონავ,
ცრემლი რად დაგიდენია?

ნუ თუ ვერ ამჩნევ, ძალსაზო
ცრემლები რომ არ გშვენიან?

—
მიტხარ, რად ჰკენესი, გოგონავ,
იქნებ გშია ან გწეურია,
თუ გაგიჯავრდა დედამა
და აგიწია უურია?..

—
იქნებ მას სტირი, რომ კაბა
შემოგსევია ტანზედა...
მიტხარ გენუკვი, გოგონავ,
ცრემლი რად გიკრთის თვალზედა?..

—
იქნებ სიცივე გაწუსებს.
ან და სიმძილი ტიალი,
იქნებ შენც გტანჯავს ცხოვრების
ჩარხის უკუღმა ტრიალი?!

—
იქნებ წიგნი არ იცოდი
და დაგიტხოვეს სკოლიდან,

თუ ძაძის მოკვლის ამბავი
მიიღე ბრძოლის ველიდან?..

—

მითხარ რად სტირი, გოგონავ,
ცრემლები რისთვის გდენია?..
ნუ თუ ვერ ატეობ, ძაღსაზო,
ცრემლები რომ არ გშვენიან?!.

ხ. ვარდოშვილი.



თიკანი ჰიკინა.

I.



ა ლამაზია ჩემი თიკანი, რა ლამაზია!

— მუცელზე კინაღამ გავბერე— ისე გაფანისინე. აბა რა! ძალიან შიოდან, სულ ჰეაჰეჰეს გაიმასოდან: მშია, მშია, მშიაო. სომ გაჭამე, ჩემო თიკანო? სომ კაი გოგო ვარ? ოო, მას რა გეგონა. აი, ესლაც კალთაში მიურია შენ-თვის ბალახი. ისე კარგი ბალახია, ისე, ისე, რომ მაგ ჰაწია ჰიწს ჩაგიტკებანურებს.

— ჰეეე, ჰეეე!— სათრი არ გაუტესა ჰიჰინამ ცუდლუტ კატოს.

— ჰი-ჰი-ჰი-ჰი?— სალისინათ გადაიკისკისა 'გოგონამ— შენ კი გენაცვალე, ჩემო თიკანო. ერთი კიდევ, ერთი კიდევ: მეე-მეეე!

— ჰეეე!

— ვას, შენი სულის ჭირიძე, ჩემო ჰიჰინა. ახლა ეგ ბალახიც მიირთვი, აჭა!

— დაესსენ, გოგო, რას ჩასციებინარ. რა დროს მაგის ბალახია, ჯერ ხეირიანათ კბილებიც არ ამოურია.—განსძახა დედამ სამსარეულოდან კატოს.

— კბილები კი არა, უშველებელი ღოჯიც ამოურია. წელან არ დავაკრეჭიე? ისეთი მჭრელი კიჭები აქვს, კიონაღამ თითი მომაკვნიტა.

— ახი იქნებოდა შენზე, შე სამაგელო შენა! რათ აწვალე, რა დავაგადა?

— ვინ აწვალე? თქვენ ზალოზე მივიბამთ და აბლაღვლებო. მე კი აი, რამდენი ბალახი მოუურბენიე. სულ ასე ვვირბოდა და ბლაოდა საწუალი: ზეე, ზეო!

— ზეეეე!—დანიჰინა თიკანძაც, თითქო განსსენდაო.

— ე, უუურე, ახლაც მშიაო!—გადაიკისკისა კატომ და ნორჩი ბალახის ერთი ბლუჯა მშიერ თიკანს ძიანოდა.

თიკანიც მადიანათ შეექცეოდა საუხმეს და ცუკრუძელა გოგონას ჭკვიან თვალებში შემტერებოდა.

II

ორი დღეა, რაც საბრალო თიკანს საუვარელი დედა მოაშორეს. დაობლდა თიკანი. ზაწია ძმაც ჭეაუდა, მაგრამ აწ იმის ნახვას ვინ აღირსებს. ეს, რამდენი არ იტირა ჩვენმა ჰიჰინამ, რამდენი არ უძახა წართმეულ დედას: ხან აქეთ აწუდებოდა, ხან იქით, მაგრამ ამაოთ. დედას

არ დაუბრუნეს ის, მისი ჯახური ვის ჰქონდა. მერე რა გეძრეული იყო დედის რძე! მუშუებში რო ეძგერებოდა, ზირს ჩაავლებდა და დაუსოგავათ ელუნწავდა! ახლაც ჩარჩენია საბრალოს ზირში ტკბილი რძის გემო და ნერწუვი მოსდის. ვინაა კეთილი—დედას დაუბრუნოს? ვინ იცის, იქნებ დედაც სასარლათ ბღავის, მთა-ბარს აფრუებს, შვილს უხმობს...

დაღონდა თიკანი... ზირველათ ბევრი იზიზინა, ცხარე ცრემლები დაღვარა. მაგრამ შეატეო, არავინ იკარებდა გულთან იმის ქვითინს და ხმა გაკმიდა. ბედს შეურიგდა. თავი ღობის ძირას ჩაქინდრა და თვლემს. ესიზმრება ალბათ დედა, ძმა, ტკბილი რძე... ესიზმრება და კული უკვდება.

ვინაა მისი შემბრალები?

ერთადერთ კუდრაჭა კატოს ებრალებს აბოლი თიკანი. ცელები გოგონა ეფერება, თვალის ჩინივით უვლის. ზაწია ხელებით წვნიან ბალახებს უკრეფს, გვერდით მოუსკუპდება და ღიღინით აჭმევს სოლმე. ზიზინაც კარგათ იცნობს თავის მეგობარს. ზირუტევი რო არ იყოს ეტეოდა კიდევ: ძალიან, ძალიან მიუვარხარ, ჩემო კეთილო გოგონა! დიდათ, დიდათ გმადლობ მოფერებისათვისო. კატოც კრძნობს რისი თქმაც უნდა ზიზინას: საკმაოა ერთჯერ ჩახედოს ჭრელ თვალებში, რომ იქიდან ეგვლა-ფერი ამოიკითხოს.

— ჩემო ჰინანა, სომ არ გშია, გენაცვალე?—დაუუვა-
ვებს კატო მოლზე გაგორებულ თიკანს.

თიკანიც ეურებს დააპარტეუნებს, კუდს ანცანცარებს
და შეიკუნტრუშებს.

— ჭაი, შე მაკვიტო, შე მასხარა შენა!—შესწეივლებს
აღტაცებით კატო და ძვირფას მეგობარს გულში ჩაიკრავს.

მაგრამ სულ სომ უბით ვერ ატარებს კატო ჰი-
ნინას: მძიმეა და დაიღალება ამიტომ ხანდახან, რო-
ცა კატოს თვითონაც მოშივდება და ჰურის მოსატყვად
შინ შეიცუნცულებს, ჰინანას თვალზე ცრემლი მოადგება.
ასე ჭკონია—გოგონამაც მიმატოვაო. მოაგონდება დედა,
ძმა; როცა მუდამ მათთან იყო, მოწეენისათვის სად ეცა-
ლა, ხტოდა, კუნტრუშებდა... და საბრალოს ხმა დაუნაღ-
ვლიანდება, გულსაკლავათ აზიანდება, თითქო ჩივის:—დე-
და, დედიკო, რათ დამაობლო!

გულკეთილი კატო დაუფონებლივ გამოხტება შინი-
დან ჰურით ხელში და ასკინკილათი მტირალა თიკანთან
მიიღებს. ჰინანაც დამშვიდდება, კატოც სინარულით ჩა-
უკონის ჰაწია დრუნჩსა, ცრემლიან თვალებს, და ასე
ორი მეგობარი დილიდან საღამომდი ერთმანეთს ესა-
უვარულებიან.

III.

— კატო, შვილო! შენ ჩემი ჭკვიანი გოგონა არა ხარ?
დასაკლავი უნდა დაიკლას, გენაცვალე, და დასარჩენი უნ-

და დაჩხეს. კი, ჩემო ქონობა, კი ჩემო თვალის სინათლე! აბა რა ვუყოთ, სხვალ აღდგომა! დიდი დღესასწაული!—ჩანსუტებოდა დედან ლოკინში ჰირქვე დამსობილ კატოს და ანუგეშებდა.—კარგია, კმარა, გენაცვალე!—ეალერსებოდა ის შვილს.—ცრემლები შეიძრე, სხვალ აღდგომა. ამაღამ საყდარში წავალთ, იქ სანთლებს ავაბრიალებთ, ვიმხიარულებთ. რომ იცოდე როგორი წითელ-წითელი კვერცხები შეგიღებე! ი ოხერი ერთი მაინც ისეთი მატუნარა გამოვიდა, რომ ვუელას აჯობებს, შენ კი ცხარეთ ტირი. არა გრცხვენია? მამამ უკეთეს თიკანს ვუყიდიო ნააღდგომევისო, ეს კი უნდა დაიკლასო. კი გენაცვალე, ჩემო კოკონა!

კატო კი უფრო და უფრო ცხარეთ ქვითინებდა.—ბავშვი მოკვდება ამდენი ტირილით! ნუ დაუკლავთ იმ შავ დღეზე გაჩენილ თიკანს.—ეუბნებოდა დიასახლისი ქმარს.

—რაო? რას ამბობ, ადამიანო! აღდგომა აგერ აგერ თენდება და მეორე თიკანს სად ვიმოვი. არა და უთიკნობა როგორ იქნება! მტერ-მოყვარე მოვი, ვუელას ისე უნდა დახვდე, როგორც რიგია და წესია. ახლა ასე იყოს და მეორე უკეთეს ვუყიდი.

—რამდენი არ ვეალერსე. მაგრამ არაფერი გამივიდა. გულამოსკნილი ქვითინებს: ნუ დამიკლავთ ჩემს ჰინასაო!

— უკეთესი ზიჰინა მოგება, უკეთესი ზიჰინათქო!—
სთქვა მამამ და დანის ლესვას ხელი მიჭყო.

IV.

კატოს ტირილში ჩასძინებოდა...

ზიჰინაც სთვლემდა. საბრალო ზიჰინამ ძილში მეტად
საბაძური სიზმარი ნახა.

ვითომ ჰატარა კატომ თოკი შესხნა და ტეგეობისა-
გან გაანთავისუფლა. ძირბის ზიჰინა, ძირბის, უკან აღარ
იხედება... ერთიც ვნახოთ, ერთ ეზოდან ზიჰინი შემოეს-
მა.—აჰა, ეს უთუოდ ჩემი ძმა უნდა იყოს!—გაიფიქრა ზი-
ჰინამ.—დიაღ, სწორეთ ის არის. სულ ასე იცოდა ზიჰი-
ნი. ღმერთო ჩემო, ეს რა მოხდა, როგორ ვიფიქრებდი,
თუ ჩემი ძმის ხილვას ვეღირებოდი!

საბრალო ზიჰინა სიხარულით ცას ეწეოდა. მარდათ
მიანტა ღობეს და ძამიას გადასძახა:—სადა ხარ, სადა?—
აჲ ვარ, აჲ!—გამოსძახა ძამიაც. ზიჰინამ აღარ აცაღა, ღო-
ბეს გადაანტა და უმაღლ ძმასთან გაჩნდა. ოხ, რომ იცო-
დეთ, როგორ გაესარდა ძმას დაკარგული ძმის ხილვა!
— საიდან, როგორ?—შესძახა ძამამ ზიჰინას.

ზიჰინამ ეოველივე რაც თავს გადახდა დაწვრილებით
უამბო და ამით დაასრულა:

— ჰო და იმ ჩემმა ზატარა დიამ კატომ თოკი მომ-
სხნა და გამანთავისუფლა. გამოვექანე, ვირბინე, ვირბი-
ნე და უეცრათ შენი სმაც მომესმა. მაშინვე გიცხანი, ჩე-
მო ძმაო. ოხ, რა მიხარია, რა მიხარია!

— დასე, რა კეთილი გოგონა უოფილა? მე კი არ-
ვინ გამოძიხნდა ასეთი კეთილი.—სთქვა ძმამ და თვალ-
ში ცრემლი მოერია.—დილიდან საღამომდი თოკით ვარ
დაბმული. დედას, არ მაკარებენ. სამოვრათ რომ გადუ-
ნიან, მე აქ მტოვებენ. ბლავის საბრალლო დედა, მაგრამ
ვის ესმის მისი ბლავილი. მეც ვზიზინებ, ვზიზინებ, მაგ-
რამ ამაოდ. საღამოს მოდენიან დედას, მაგრამ რა! მთე-
ლი დღის უნახავს არც ესლა მიმიშვებენ ჩასა-
ხუტებლათ. ბლავილით და ჰიზინით ვეგებებით ერთმა-
ნეთს. მერე დედას გამოწველიან, ჯიქანს გამოუცლიან
და მუნწი დედაბერი შიკ ჩარჩენილ ორ-სამ წვეთ რძეს
ძლივს გამოიმეტებს. როგორც იქნება მოიღებს მოწუა-
ლებას და მიმიშვებს. წინათ ასე როდი იყო. ჯიქან-გა-
მოვსილ დედიკოს მუხუებში დავემკვრებოდი, ჰირში ხან
ერთს, ხან მეორე მუხუს მოვიგდებდი და ტკბილ რძეს
ველუნწავდი...

— მეც მახსოვს.—ნაღვლიანათ სთქვა ჰიზინამ და ჰირ-
ში ნდომის ნერწევი მოადგა.

— ახლა კი დაძკვრებას როგორ გავბედავ. მეცოდუ-
ბა საბრალლო დედა. რაც იმას ვეება მუჭებს აკრავენ და აკ-
რავენ სოლმე ჯიქანში, მიკვირს სული რისკან უდვას.

დედაბერმა შეატეო დედას, რომ რძეს ჩემთვის ინახავდა და მას არ ანებებდა, უძალავდა. მიმიშვა, ვეძგერე... მოასკდა ჯიქანს რძე, ბუბუებში აღარ ეტეოდა, მაგრამ ის-ის იყო ჰირი ძლივს ჩავისველე, მკრეს წიხლი და უიწმალა გადამატრიალეს. ჯიქანში მომსკდარი რძე ქოთანში ჩააშწრიალეს. ასე უღვთოთ მაწვალებდენ.

— ოს, რა ბოროტია ადამიანი!— ამოიოსრა ჰიზინამ.

— ბოროტია, ბოროტი!— კვერი დაუკრა ძმამაც.

— ახლა სადამ დედა?

— სამოვარში!— მიუგო ძმამ.— აი, აგერ მოდის კიდევ!

მართლაც წვერებ-ცანცარა თხა ვაჟკაცურათ ფეხებს მოახაკუნებდა. ჰიზინამ ის-ის იყო ისკუპა დედის მკერდში ჩასაკრავათ, მაგრამ... ჭოი, უბედობავ! თოკმა არ გაუშვა, ეელში ძალზე მოუჭირა...

საბრალო ჰიზინას გამოეღვიძა... და რა ნახა! გაქრა საამური სიზმარი...

კატოს ძამა გალესილი დანით თავს წამოდგომოდა საბრალო ჰიზინას... ჰიზინას ეელი გამოუღადრეს...

V.

შუაღამემ მოაწია. ზარების გუგუნმა აუწვა სოფელს მაცხოვრის აღდგომა. დიდი და ჰატარა საუდრის გალავანში ირეოდა. კოკობიჭების კიჟინას ზარების რეკა უერთდებოდა.

— სიკო, მოდი კვერცხი დაგვრათ!

— დაგვრათ თორემ ერთბაშათ არ ჩამიმტვრიო!

— დაკირული თუა მეც ვიცი ვერას დავაკლებ!

— დაკირული კი არა ნახოლარა არ გინდა! მოდი რაღა დაგვრათ, თუ გული გერჩის!

ვინ მოთვლის რამდენი კვერცხი არ დაიმსხვრა. საზრების გუგუნში რას გაიგონებდით!

კატოც იქ იყო. მაგრამ საერთო ლხინში არ ერეოდა. შარშანდელივით არ მსიარულობდა. ეველამ შენიშნა კატოს მოწყენა და ტოლ-ამხანაგები მოსვენებას არ აძლევდენ:— რაზე ჩამოგიყრია, კოკო, უურები, დღეს ქრისტე აღდგაო!

— მეც კარვით ვიციო!— ნიშნის მოკებით მიუგებდა კატო.

კატომ იცოდა, რომ დღეს აღდგომა იყო, მაგრამ ისიც კარვით იცოდა, რომ მისი თიკანი უკვე შებრაწული იდო სადღესასწაულო სუფრასე. დღეიდან ის მის ზიზინას ველარ გაიგონებდა.

გულმოკლული კატო აღარავის ეკარებოდა, დაღვრე-მილი იყო.

მაგრამ როცა უეცრათ ეელზე თამრიკო შემოესვია და გადაკონა, კატოსაც გაესხნა შუბლი და ასე გასინჯეთ, წუსელი რო დედამ ჯიბეში კვერცხი ჩაუგორა, ამოაწითლა— და დასაკრავათაც მოამზადა. თამრიკომაც დაუგრა. კატედა თამრიკოს კვერცხი... კატოს კვერცხმა აჯობა. ზატარა თამრიკოს სახესე ღრუბელი მოეჭინა და

ის-ის იყო უნდა წვიმათ წამოსულიყო, რომ კეთილმა კატომ თავისი მატეხარა კვერცხი შესთავაზა და უთხრა:

— არ ვიცოდი, თუ გაგიტენდი, თორემ არ დაგიკრავდიო. აჰა, დაიკო, მთელი კვერცხი. არ იტირო, რა გაქვს სატირალი. შენი ზინანა კი არ დაუკლავთ, ჩემი დაკლესო.


გამოიღარა. თამრიკომ წითელი კვერხი ზაწია ხელეში ჩაიგორა და კვერცხებზე სანადიროთ მოჰკურცხლა.

კატო კი ისევ ისე ზინანაზე დარდობდა.

დიდხანია აღარ მინახავს ჩვენი ცუგროშელა ჭკვიანი კატო. გუშინ კი ამბავი მომიტანეს: ცელქ კატოს ახალი თიკანი უეღესო, მაგრამ იმას არ მიუკარებია, ზედაც არ შეუსედნია.

კოჟანდარა.





გაზაფხული.

მაწვილებო, მოძილოცავს
დღეს ნახევრათ გაზაფხულდა,
ზამთარს თვალი დაუბნელდა,
დასნეულდა, დაუძღურდა.

მზე-კი მოელვარე სსივევს
ჩვენკენ შლის და ჩვენსკენ წაწავს,
ვინულების ქსოვილ ბადეს
შიგ უვლის და ცრემლათ სვეწავს.

და ზამთარიც დიდის კვნესით
ილევა და სულსა ღაფას,
სააქაო ეკლებს უფენს,
საიქაოთ გზას უკაფავს.

სამუდამდ უფსკრულისკენ
კუდ-მოძწვარი მიაშურებს,
ნიაჳი კი ევაჳილთ შრიალს
ცელქათ მოაშარიშურებს.

შეგარდნები ფრთებს უქნევენ
მინდვრის ჯარს და მზის ამაღლას,
სათითაოდ ნისკარტს სცემენ,
თუ რამ შერჩა ზამთრის ძაღლას.

მოჩნა, ზამთრის ცივი ტანტი
 დაიმსხვრა და მთლათ დასრულდა,
 და ბუნების ფაქის სურვილს
 დიდი ნატვრა აუსრულდა.

ემაწვილებო, თქვენთან ერთად
 ტკბილათ მღერის ჩემი გული,
 მომილოცავს უნულთ მსხვრევა,
 მომილოცავს გასაფხული.


შიო მღვიმელი.

ს ა ხ უ მ ა რ ო.



კრიბელებს წყეულმა ქორმა კარგი შესაწავი წიწილა
 წაართვათ. წიწილის დაკარგვამ მათში დიდი აღელვება
 გამოიწვია. შექნეს ჩოჩქოლი, მიუძახ-მოუძახეს ერთმა-
 ნეთს და დიდიან პატარიანა ერთბაშად ქორს გამოუდგენ.
 ბევრი სდიეს, სდიეს სდიეს. მაგრამ ვერ დაეწიენ. დევნის დროს, რად-
 გან მალლა ქორს თვალსაც ადევნებდენ ორთხ-ამონაღებიტაც მირ-
 ბოდენ, ბევრმა მათგანმა ფეხი ქვებსა და ჩიდრებს წამოჰკრეს,
 დაეცნენ და მუხლის თავები ქვებსა და კოლობოხებზე დაიქლითეს
 და დაისისხლიანეს. ღონე მიხდილებმა არაქათ გამოლყულებმა ოკ-
 რიბელებმა, რა რომ ვერ დაეწიენ ქორს, ცოტა ხნით თავი მოი-
 გროვეს, დასასვენებლათ და თანაც არჩევდენ, რა ექნათ და რით
 მოეგდოთ ქორი ხელში, დაემორჩილებიათ და მისგან აწიოკებით
 თავი დაეხწიათ. რიგი რიგს გაიძახოდა და რიგი რიგს. ზოგი გაი-
 ძახოდა: „ჯანდაბას მაგ ქორის თავი და ტანი, მე ამის მეტი აღარ
 ვარ, მოკვდი, დავიქანცე, სულს ველარ ვითქვამ, წავიდეთ შინ,

თავი დავანებოთ მაგ ოხერსა და ტიალს.“ მეორე წყება იძახოდა: „თავი დავანებოთ, დავანებოთ, რას ქვია. მოსახლე ისე არ იქნება ამ ოკრიბაში ორი-სამი შესაწევავი ვარია ან ყვინჩილა არ წაერთმიოს. მაგის ჰაუ, ჰაუს ძახილით ქალსა და ბავშვს ღრანქები აღარ უვარგათ. სულ მაგის მწყემსი გამოვსულვართ. ახლა თავი დაანებე, ეს რა ჭკუაა. ასე თუ დავანებეთ მაგ ქორს თავი და გავიბატონეთ კაი კი იქნება. შესაწევავს სულ ეგ მოგვტაცებს და ჩვენ კი დავრჩებით პირ ამობალული. არა არა, რაც უნდა დავვიჯდეს ახლავე უნდა ავლაგმოთ ეგ წუწკი ევა, თორემ ხომ გავიგონიათ: „ერთი შერჩა მელასაო, შეეჩვია კბენასაო.“ ამ დროს ხალხში ჭკვიერის ხმა გაისმა: „ნუ შევარჩენთ, ნუ შევარჩენთ, გავიქცეთ ეხლავე, თავი დაურბინოთ და ქე რომ დიდი ხილია ის ჩაუშალოთ, ჩაშლილ ხიდზე ვეღარ გავგავსწრებს და იქანა წყლის ნაპირას დაუყეყოთ თავი და ტანი ქვითა და ლოდით, წყალს მივსცეთ და გავატანოთ, რომ მისი სახსენებელიც აღარ დარჩეს ამ ჩვენ კურთხეულ ოკრიბაშიო.“ ამის მთქმელმა დათაგება ვეღარც კი მოასწრო, ოკრიბელები ისე ერთბაშათ მოშვენ ხიდისაკენ, რომ ერთიც აღარ დარჩენილა. თვალის დახამხამებაში ხიდი სულ მიღეწ-მოღეწეს და ჩაუშვეს წყალში. მერე ყველა ქვებით აივსო და ქორს ჩაესაფრენ. ბევრს ელოდენ ქორს, მაგრამ საქმე არა გაქ, ქორი მაშინ აღთას იყო გადაცილებული. ბოლოს გონს მოვიდენ და გულ ხელ დაქდობილი, ყურებ ჩამოყრილი შინ დაბრუნდენ. ხიდზე უნდა გასულიყვენ, მაგრამ დახედ უბედურებას, ხიდი ჩანგრეული იყო და რის ვაი ვაგლახით წყალში ჩადგენ და სულ ამოწუმპული გავიდენ ნაპირას.



3 908
1917

როგორც რომ დრო

ხელს უშეგვიწყობს

ჯეჯილი

ბ ა მ რ ვ ა.